



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: ბ92. 922305815

თარიღი: 27/02/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს:

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N1 - ის შესაბამისად;
- 2023 - 2024 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2 - ის შესაბამისად;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები N3 - N5 - ე დანართების შესაბამისად.

მუხლი 2. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო სამსახურის“ უფროსს გიორგი მანგოშვილს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

- საბიუჯეტო კალენდართან (დანართი N2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები N6 - N7 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო სამსახურმა“, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ადმინისტრაციულ სამსახურთან“ ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

მუხლი 4. დაევალოს “პრიორიტეტების დოკუმენტზე” მომუშავე ჯგუფს აღნიშნული დოკუმენტის მოსამზადებლად მუშაობა დაიწყოს 2023 წლის 01 მარტიდან.

მუხლი 5. პრიორიტეტის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

